საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა, 1 ივნისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 119

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთის ფასი: 1 თ. 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი 2 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 მან. რედაქციისა და კანტორის მისამართი: ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფ. 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

დრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ფუნდე, შვილები: მარუსია, ნინა, მიშა და ილია, ძმისწულები: სიმონ და ქუნია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 1 ივნისს დილის 10 ს. დანიშნულია სამ. პანაშვიდი ძვირფასი

რაფიელ ჩიხლაძის

40 დღის აღსანიშნავათ. პანაშვიდი გადახდილ იქნება წმ. ნინოს სასაფლაოზე. თუ ცუდი ამინდი დადგა—მე-4 რაიონის კოლექტივის ბინაზე. (2—2)

დრმად დამწუხრებულნი: სიდედრი ეფროსი, სიმამრი ალექსი, ცოლის ძმა არტემ მეუღლე ქსენიათი, ცოლის და მარო კალანდაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას 1 ივნისს დ. ხიდისთავში (გორის) გადახდილი იქნება 40 დღის სამოქ. პანაშვიდი ძვირფასი სიძის

რაფიელ ჩიხლაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. (2—2)

დრმად დამწუხრებულნი: ქვისლები ნოე რამიშვილი, ვასო ტუქსაშვილი და ცოლისძმები მათის შვილებით, გაბუნია და რამიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 1 ივნისს დილის 10 ს. წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება 40 დღის სამოქ. პანაშვიდი ძვირფასი

რაფიელ ჩიხლაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. (2—2)

მეოთხე რაიონული კოლექტივი აცხადებს, რომ კვირას 1 ივნისს, დღის 12 ს. სასაფლაოზე დანიშნულია, ამავე რაიონული კოლექტივის თავმჯდომარის და დაუღალავი პარტიული მუშაკის, სახალხო ტრიბუნის

რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძის

ორმოცი დღის პანაშვიდი. თუ ცუდი ამინდი დარჩა, პანაშვიდი გადახდილი იქნება ვერის პარტიული მუშათა კლუბის დარბაზში დილის 10 ს.

დრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო (ბურდლი) რძალი ვერა (კუკუ) შვილები კონსტანტინე (კოკო) მიშა, აპოლონ და ასული დომინიკა (ფაჩე) თვალთვაძისა, სიძე პროკოფი თვალთვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ სოფელ ტელეთში (სალხინოს, სენაკის მაზრა) 12 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კოსტა ივანეს ძე კეშელავა

დაკრძალვა დანიშნულია მაისის 21 ს (ძველი სტილით), დილით სამშობლოს მდგომარეობის ეკლესიის გალავანი. (2—2)

ტფილისის ქალაქის ტრამვაის ცენტრალური ელექტრონული სადგურის მუშები მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მემანქანე

ილარიონ სიმონის ძე ვაშაკიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას 1 ივნის 1 ს. საკუთარი ბინიდან სურამის ქ. № 5, დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

შავი საფრთხე

ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება.

შავი ზღვის ფრონტზე დამარცხებული და შერცხვენილი გენერალი დენიკინი მოხალისეთა ჯარით კასპიის ზღვის მხრიდან მოადგა ამიერ-კავკასიას. მან დაშალა მთიელთა მთავრობა და აიღო სიმაგრე—ქალაქი დარუბანდი, რომელიც სულ ორასიოდ ვერსით არის დაშორებული ბაქოზე.

ვინ არის გენერალი დენიკინი და რა სურს მას?

მას და მის ჯარს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ჩვეულებრივ ჯარი იბრძვის რომელიმე სახელმწიფოს და მისი მთავრობის დავალებით. მოხალისეთა ჯარს და მის სარდალს კი არ ყავთ მთავრობა, რადგან მათ არც კი მიეპოვებათ სახელმწიფო. მოხალისეთა ჯარის მიზანია ბოლშევიკური მთავრობის შემუსვრა, დენიკინი ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე მებრძოლი ძალაა.

ბოლშევიკებს სხვებიც ებრძვიან რუსეთში—ესენია მენშევიკები და ესერები, მაგრამ ესენი დღეს იქ გარიყული არიან და ჯერჯერობით ძალას არ წარმოადგენენ.

არსებობს, მაშასადამე, რუსეთში ორი უკიდურესობა: ერთის მხრით ბოლშევიკური სახელმწიფო, რომელიც წინ უსწრებს საზოგადოებრივ განვითარებას და ამიტომ ხელს უშლის ქვეყნის დამშვიდებას და ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას, ხოლო მეორე მხრით დენიკინი, რომელიც მტერია ყოველივე ახლის და ცდილობს ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას, ძველი ბიუროკრატიზმის აღდგენას და დახავსებულ წოდების გაბატონებას.

მაშასადამე დენიკინის მიზანია რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენა. მან კარგათ იცის, რომ პარიზის კონფერენციაზე შეიქმნება ერთნაირი საერთაშორისო ურთიერთობა, რომლის შეცვლა შემდეგში ადვილი არ იქნება; დენიკინმა იცის, რომ პარიზის კონფერენცია იძულებული იქნება მეტი ანგარიში გაუწიოს მომხდარ ფაქტს, ვინემ ცარიელ ნება-სურვილებს. შესძლებს დენიკინი ამიერ-კავკასიის დაპყრობას, კონფერენციაც იძულებული გახდება დაადასტუროს ეს დ დენიკინს შემდეგში საქმე ექნება მხოლოდ შინაურებთან, რომელთა დამორჩილებას შედარებით ადვილად მოახერხებს. თუ რა იქნება ძველი რუსეთი, აღდგენილი დენიკინის მოხალისეთა მიერ, ეს ადვილი წარმოსადგენია: მოხალისეთა პირველი ნაბიჯი იქნება რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაცია, რითაც ყველაზე უფრო დემოკრატია დაზარალდება.

კარგათ იცის ეს დენიკინმა, რომ დემოკრატია ადვილად არ უთმობს მტერს და ამიტომ ირჩია მან აზერბეიჯანი—სომხეთისაკენ გამოლაშქრება, სადაც შედარებით სუსტი დემოკრატია ეგულება, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ დენიკინის სიხარული ნაადრევი გამოდგება. მართალია, მას ადვილათ დაანება მთიელთა მთავრობა და პარლამენტი, რომელთანაც ხალხი არ იყო მჭიდროთ დაკავშირებული, მაგრამ მთიულებში ჯერ კიდევ არ გამქრალა უკვდავე შამილის აჩრდილი და თუ ამ ხალხს არ აქვს საჭირო ორგანიზაცია, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, ვითომ ის პარტიზანულ ომის წარმოებასაც ვერ შესძლებს. მით უმეტეს, თუ ჩვენი მხრით დაინახავს სასტიკ წინააღმდეგობას დენიკინისადმი. არც აზერბეიჯანის და არც სომხეთის დემოკრატია არ არის დაინტერესებული იმაში, რომ ამიერ კავკასიის ტერიტორიაზე მოხალისეთა ბანდებმა ითარეშონ და ჩვენი ქვეყანა საშინელ სამოქალაქო ომის ასპარეზათ გადააქციონ. და ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობები არ უღალატებენ თავის მოვალეობას ხალხის წინაშე და ქვეყნის დაცვას სათანადო ყურადღებას მიაქცევენ.

მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო ხანაში გადადის ჩვენი დემოკრატია, მაგრამ საბედნიეროდ [illegible] არ არის გაუმართლებული, თუმცა [illegible] მეგობრებიც არა ჰყავს [illegible]. და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი [illegible] ამ დიდ განსაცდელსაც გადალახავს და [illegible] უფრო გაძლიერებული გამოვა [illegible] სასიცოცხლო ომიდან.

პრესა

გაზ. „საქართველო“ [illegible] აღშფოთება, და ჩვეულებრივ დაიმარცვლამა, ამ ქამათ განცხადებული [illegible] შვიდეს.

რა მოუვიდა ამ მაშველიშვილთა [illegible] განაც?

მან ამოიკითხა ჩვენს გაზეთში სწორი შეხედულება სოც.-დემოკრატიისა ერის დამოუკიდებლობაზე. ჩვენ მუდმივ ისეთ მარტივ აზრს, რომელიც არა ერთხელ გვქონია ნათქვამი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, იმ აზრს, რომელიც დამოუკიდებლობის დღეს წარმოსთქვა ნ. ჟორდანიამ, რომელიც შემდეგ არა ერთხელ გვითქვამს პარლამენტის ტრიბუნიდან და პრესშიაც არა ერთხელ დაგვიწერია:

„დამოუკიდებლობა ჩვენთვის ფეტიში არ არის, არც ღვთაება, რომელსაც უნდა თაყვანისცემით [illegible]“. მაშ რათ გამოვაცხადეთ [illegible] [illegible] იმისთვის, რომ [illegible] გარე- [illegible] და გამოსადეგი ხალხისათვის, დემოკრატიისათვის. და ჩვენ დავუმატეთ: თუ ხალხის, დემოკრატიის ინტერესები მოითხოვენ, ჩვენ არც შემდეგში შევუშინდებით სხვა სახელმწიფოსთან შეერთებას, მაგალ. ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შესვლას, რუსეთის თუ ევროპის შეერთებულ შტატების ერთ-ერთ წევრათ გახდომას. ვიმეორებთ, იდეალად არც ეს შეერთება გვაქვს, ფეტიში ჩვენთვის, არც ეს დიდი სახელმწიფოა.

პირიქით ჩვენთვის დიდიც და პატარა სახელმწიფოც საშუალებაა, გარდამავალი საშუალება სულ სხვა მიზნისათვის. ხალხის სამსახურისათვის საბოლოო მიზანი, სანუკვარი ღვთაება ჩვენი არის—სოციალიზმი. და აი ამ სოციალიზმის განხორციელების გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით არც დამოუკიდებლობის, და არც სხვა სახელმწიფოსთან შეერთების წინაშე, როცა დავინახავთ, რომ ეს ხახარგებლოა ხალხისათვის.

„საქართველო“ აღშფოთებულია ამ სადი აზრებით და პათეტიურ ბრაზ დახვეული ასეთი სიტყვებით მოგვმართავს:

„უბადრუკო, თუ სამშობლოს დამოუკიდებლობის მოტრფიალე დღესაც არ ხარ, თუ იდეალად მას არ ისახავ, თუ იგი შენი ფეტიში არ ყოფილა და არც არის, სად გექნება ზნეობრივი ძალა, ხალხს, ერს, სამშობლოს დაუძახო, ქუჩებე კაცი გამოიყვანოს და განემზადოს უდიდესი მსხვერპლის, სიცოცხლის შესაწირავად? სად არის უზენაესი იმპულსი? რა უფლებით მოუწოდებ ქვეყანას, ან რისთვის უნდა გამოგყვეს ეს ხალხი და ეს ქვეყანა?“

შემდეგ მოყვება უკვე ასეთი თვალმარგალიტები გაბრაზებული ნაციონალისტების ლეპრძლიანი გულისა:

„ცინიზმი! ფუნჯრება! პოლიტიკური სიბეცე! თუ... სოციალდემოკრატიული სიტლანქე, გრძნობა გონების უკულტურობა და იდეოლოგიური ბარბაროსობა! ყველაფერი ერთად არის შეზავებული, ყველა ერთად“ („საქ.“ № 110)

წერილში „კრეტინიზმის ტყვეობაში“ ეს ბრაზიანი კილო და პატრიოტული აღტყინება სასტუმატიურად სცვლის ერთი მეორეს და რამდენიმეჯერ მეორდება.

მაგრამ ჩვენ ნუ მივაქცევთ ყურადღებას ამ მკვახე სიტყვებს, იგი მხოლოდ თვით წერილის ავტორის სულიერ ავადმყოფობას ახასიათებს. რაც შეეხება იმ პაწაწკინტელა აზრს, თითქოს მხოლოდ დამოუკიდებლობის ფეტიშათ გამოცხადება შეეძლოს ხალხის აღტყინება მის დასაცველად—ეს კი დიდი პოლიტიკური და მორალური აბსურდია. მართალია, ნაციონალისტები ყოველთვის ცდილობენ ერის დამოუკიდებლობა ფეტიშათ უქციათ, მაგრამ აქედან წარმოსდგა მხოლოდ მათი უგნური და ხშირათ დამღუპველი ნაბიჯები ერის წინაშე. ჩვენ კი სოციალდემოკრატები ამ საგანსაც, ისე, როგორც ყოველივეს, მიზანშეწონილების თვალსაზრისით ვსინჯავდით და ამიტომ შევძელით ერის ინტერესების სასარგებლოთ გამოგვეყენებინა იგი. ეს დღეს აშკარა და ნათელი ფაქტია. მაგრამ ნაციონალისტების გულისტკივილი მართლა დამოუკიდებლობა კი არ არის, მათ სხვა მიზანი აქვთ ხალხის ჩამოშორება სოციალისტური გზიდან მისი ნაციონალიზმის მორევში ჩაფვლა და ასე თავის სტვირზე ათამაშება. მაგრამ ეს ფანდიც ვერ გასჭრის. ხალხს აქვს თავის აღფრთოვანების საგანი—ეს გახლავთ დემოკრატიული წყობილება, ხალხის პოლიტიკური ბატონობა, რომელიც გზა და ხიდია ეკონომიური მონობიდანაც საბოლოოდ თავის დაღწევისა. აი ამ იდეალის სახელით შეუძლია იგი სასტიკ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ იდეალს [illegible] მიაჩნდა მიხვეწილი, და განა [illegible] დამპყრობლები მას სხვა [illegible] [illegible] დაიხაც რომ ვერ დასჭირდება. პირიქით, ფეტიშის ყვირილი და სინამდვილის სწორი გაგება თავის ინტერესების მოხედვით საუკეთესო თავდებია ხალხის ენერგიული, შეგნებული ბრძოლისა ბრწყინვალე მომავლისათვის. გაზ. „საქართველოს“ ნაციონალისტებს სჭირდებათ ფეტიში, კერპი, უმისოდ ისინი ვერ აღუძრავენ მოდუნებულ ძარღვებს. დაე იყვნენ, მაგრამ თავისთვის. ხალხს კი დაუტოვონ მომავლის იდეალები, რომელთა სამსახური მისი რევოლუციური ბრძოლის შეუკავებლობით არის შემოსილი. იგი კვლავაც იბრძოლებს და ნაციონალისტების უდღეურ ოხვრას და გმინვას არ აჰყვება.

დღეს საფრთხე მოადგა ჩვენს დამოუკიდებლობას დენიკინის შავი ლაშქრისაგან. „საქართველოსაც“ ალბათ, ამის წინააღმდეგ დასჭირდა „ფეტიშების“ წამოყენება. ჩვენ კი ამის წინააღმდეგ ვიყენებთ ჩვენი ხალხის საღ ინსტიქტს და რევოლუციურ შეგნებას. დენიკინი გვუქრება ჩვენს დამოუკიდებლობას, რომელიც სიმბოლოა, სახეა ჩვენი დემოკრატიის ბატონობის. ჩვენი სოციალური კანონმდებლობის, მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვის, ე. ი. ძვირფასია თავის შინაარსით, თავის სოციალური დირებულებით. და განა იგი ერთსულოვნად არ აღსდგება ფეხზე ამ შავი ძალების წინააღმდეგ? კიდევ მეტსაც ვიტყვით ვინც უნდა გამოვიდეს „მოძალადეთ“ და იარაღით მოგვესიოს თავის ნების მოხვევა, დემოკრატია, ხალხი ყველას თავგანწირულათ შეებრძოლება. დამოუკიდებლობა ჩვენ იმისთვის კი არ გამოგვიცხადებია, რომ ქარს გავატანოთ, არამედ იმისთვის, რომ იგი ხალხს მოვახმაროთ.

და ჩვენი რევოლუციური დემოკრატია ახლაც დაიცავს მას, როგორც არა ერთხელ დაუცავს თავისი თავისუფლება მტრებისაგან.

დამფუძნებელი კრება

80 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

სარედაქციო კომისიის სახელით გრ. ნათაძე კითხულობს საბოლოო ტექსტებს შემდეგ კანონ-პროექტებისას: რკინისა მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მატების შესახებ, სამოქალაქო კანონთა კრებულის მე-X ტომის ნაწ. [illegible] მუხლის შეცვლის შესახებ. ეპიდემიასთან ბრძოლაში დაღუპულ და შრომის უნარ დაკარგულ მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების შესახებ. შემოხსენებულ კანონთა საბოლოო ტექსტები დამფუძნებელმა კრებამ უკამათოდ მიიღო.

ზ. გურული მოახსენებს კანონს დახოცილებულ მეომართა და ოჯახებთა დახმარებისა. კანონი მიიღეს უცვლელად.

გაგრძელება მსჯელობისა ს.-რევოლუციონერების შეკითხვის შესახებ ქალაქის გაფიცულ მოსამსახურეთა დატუსაღების შესახებ.

ნ. რამიშვილი (შინ. საქ. მინ.) ს.-რევოლუციონერთა შეკითხვა უნდა იყოს მიმართული ქალაქის თვითმართველობისადმი, მაგრამ ვინაიდან ეს პარტია ისეთი რევოლუციონერია, რომ ტფილისის დემოკრატიამ არც ერთი ადგილი არ აკუთვნა, ამიტომ შეკითხვა აქ შემოიტანეს. შემკითხველები გაიძახიან, რომ მმართველ პარტიის პოლიტიკა დაშორდა არამც თუ სოციალიზმს, არამედ—დემოკრატიზმსაცკი და მთავარ საბუთად მიაჩნიათ ის, რომ დატუსაღება მოხდა თუ იმ პირის ხდება ადმინისტრაციული წესით. მინისტრი მოაგონებს შემკითხველებს, თუ რა უფლება ჰქონდა მინიჭებული საფრანგეთის რევოლუციონურ ტრიბუნალს. 1798 წელს კონვენტმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით მთავრობას უფლება ჰქონდა [illegible] სახა ციხეში. იმ თვალსაზრისზე, რომელზედაც სდგანან დღეს სოციალისტ-რევოლუციონერები, იდგენ მაშინ როიალისტები და რუსეთში კადეტები, და ჩვენში ასეთ ზომების წინააღმდეგ არიან ის მოხელენი, რომელიც სოც.-რევოლუციონერთა პარტიის ბურჯს წარმოადგენენ. მინისტრი აღნიშნავს, რომ როდესაც დენიკინელები საქართველოს წინააღმდეგ ხმალს ლესავენ, ასეთი შეკითხვით ესერები მათ ხელს უწყობენ: ჩვენ ისეთ ელემენტების წინააღმდეგ ვიღებთ ზომებს, რომლებიც, თუ გახსოვთ, 1905 წელში ეგრედ წოდებულ პატრიოტული საზოგადოების სულის ჩამდგმელნი იყვნენ, რეაქციის დროს რუს მუშათა ზოგიერთ წრეებში გაბატონდენ და ახლა კი ზურაბოვების ჯგუფებს ებღაუჭებიან. მათი მიზანია ჩვენი რესპუბლიკის დამხობა და ისინი ყველას შეუერთდებიან ამ მიზნით, როგორც დენიკინს ისე ლენინს. გაფიცვის შესახებ, როგორც მოგახსენეთ, პასუხი უნდა ეგო ქალაქის თვითმართველობას, მაგრამ რამდენათაც ამ გაფიცვას პოლიტიკური ხასიათის აძლევდენ, მთავრობას უნდა მიექცია ყურადღება, უნდა განეცხადა, რომ არცერთი გაფიცული, გაფიცვისათვის არავის არ დაუპატიმრებია. მინისტრი საბუთებით ამტკიცებს, რომ ამ გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და წინათვე უნდა სცოდნოდათ გაფიცულებს, რომ მათი გამოსვლა დამარცხებით უნდა გათავებულიყო; მაგრამ მათ ამას ანგარიში არ გაუწიეს. ამ ელემენტებმა გაფიცვა მაშინ გამოაცხადეს, როცა ახალი. სახელმწიფოს განმტკიცება და გამაგრება იყო საჭირო. ამ გაფიცვის დროს შეთანხმებული იყვნენ ბოლშევიკები და დენიკინელები, ისინი ყველას შეუერთდებოდენ, ვინც დემოკრატიის და რესპუბლიკის წინააღმდეგ იყვნენ. დღეს, როდესაც ბნელი ძალები ემუქრებიან ჩვენს რესპუბლიკას, ასეთი შეკითხვა ნიშნავს დენიკინის წაქალისებას და მის წისქვილზე წყლის მიშვებას.

დასასრულ სიტყვისა მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა არასოდეს არ გადაუხვევს თავის რევოლუციონურ გზას.

ს. ჩხიკვიშვილი. ეს ამბავი 2 თვის

დღეს

აზერბეიჯანში მობილიზაცია გამოცხადდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით თფილისში დახურეს „[illegible]ლისკაია გაზეტა“ და „ნოვოსტი“.

შვეიცარიამ უარი უთხრა მოკავშირეებს გერმანიის წინააღმდეგ ბლოკადაში მონაწილეობაზე.

ადრიატიკის საკითხის შესახებ შეთანხმება მოხდა.

წინათ მოხდა, თუ მართლაც ასეთ სამართლიანობას ჰქონდა ადგილი, რომ თქვენი ვალი არ შეასრულეთ დეპუტატ[ებო], გამოდიხართ მუშების სახელით და ლაპარაკობთ აქ. უნდა იცოდეთ, [რომ] მუშები მონაწილენი არ ყოფილან გაფიცვაში. ამიტომ, ამ შეკითხვით სურთ მოაგონონ თავიანთი არსებობა მა[თ], ვინც ეგენი ამოირჩია. უნდა მოვაგონოთ, რომ არსებობის მოგონება საჭიროა, მაგრამ არა იმ სახით, როგორც თქვენ მოგდით ბ. ესერებო. ორატორი ამტკიცებს, რომ ეს გაფიცვა პოლიტიკური ხასიათის იყო, გაფიცვას [არ] თანაუგრძნობდა თფილისის მუშათა კლასი და მათი უმაღლესი ორგანოები. [გა]ფიცულებმა ანგარიში არ გაუწიეს [ქა]ლაქის დემოკრატიულ საბჭოს, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, მუშათა დეპუტატების საბჭოს. ნამდვილი მუშები არ იღებდენ მონაწილეობას ამ გაფიცვაში, მხოლოდ ჩინოვნიკები [და] თბილ ადგილზე მჯდომი პირები. ესენი ხედავდენ, რომ საქართველოს რესპუბლიკა მტკიცდებოდა, ხედავდენ, რომ დემოკრატია გაბატონდა და იცოდენ, რომ დემოკრატიის ბატონობა ნიშნავდა მათ დასამარებას. გაფიცვისათვის არავინ არ არის დაპატიმრებული, მაგრამ, რაც შეეხება იმათ, ვინც შემოგვეცვივოდა და მკაცე წამლებით სურდათ მუშაობისათვის ხელის შეშლა, რასაკვირველია, დატუსაღებული უნდა ყოფილიყვნენ. ისეთი პირნი, რომელნიც სცდილობდენ ამ გაფიცვით ესარგებლათ და ზიანი მიეყენებინათ ჩვენი რესპუბლიკისათვის, იყვნენ დატუსაღებულნი. თქვენ, ბატონებო, პიროვნების თავისუფლების ეგ ვერ არ უნდა გესმოდეთ, რომ 10 პირის თავისუფლებას უნდა შეეწიროს მთელი ხალხის თავისუფლება.

სანამ რესპუბლიკის მტრები განაგრძობენ მთავრობის და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლას, მთავრობა სწორეთ მისთვის არის, რომ რესპუბლიკის მტრებს არ მისცეს გასაქანი და თუ მთავრობა არ აღკვეთავს რესპუბლიკის ძირის გამომთხრელთ, მაშინ იქნება იგი დამნაშავე და შეკითხვებიც მაშინ უნდა შეიტანოთ. ეხლა კი ამ შეკითხვით ზარალი და მხოლოდ დეზორგანიზაცია შეგვაქვთ საერთო საქმეში.

ი. ნუცუბიძე. (ს. რ.) ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვას მხოლოდ ეკონომიური საფუძველი ჰქონდა და მას პოლიტიკური ხასიათი არ მიუღია.

დ. შენგელაია. (ს. რ.) ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატები ამკვიდრებენ ბიუროკრატიულ სახელმწიფოს და აქედან წარმოიშვა პრაქტიკული [illegible]. ორატორი ლაპარაკობს ადმინისტრაციის თვითნებობაზე და ცდილობს დაამტკიცოს, რომ გაფიცვას მხოლოდ ეკონომიური საფუძველი ედო.

შ. ნუცუბიძე (ს. ფ.) ამბობს, რომ გაფიცვა თუმცა იყო ეკონომიური, მაგრამ მასში ჩარეული იყო პოლიტიკური მომენტიც. ამ გაფიცვით ჰსურდა ერთ გარკვეულ ჯგუფს საშუალება მისცემოდა მოსამსახურეთა გაჭირვებულ მდგომარეობით თავიანთი საქმე გაეკეთებინა. დღევანდელ პირობებში ორატორს შეუძლებლად მიაჩნია ასეთი გამოსვლები, როგორიც ესერებმა მოაწყვეს, ამით ისინი ქმნიან შინაგან ფრონტს.

ბ. ჩხიკვიშვილი. ჩვენ გვესაყვედურებიან სხვის საქმეს აკეთებთო. მაგრამ, მინდა შევეკითხო სოციალისტ-რევოლიუციონერებს, ვის საქმეს აკეთებენ ისინი ასეთ შეკითხვებით? მგონი არავისას. (საერთო სიცილი) ორატორი უპასუხებს დ. შენგელაიას და აღნიშნავს, რომ გაფიცულებს ჰსურდათ ესარგებლათ მით, რომ ქალაქში მძინვარებდა ეპიდემია, მათ მიატოვეს ავათმყოფები და დაადგინეს მხოლოდ ბავშვიკების მიღება საავათმყოფოში. თქვენ იძახით, რომ ყველა დამნაშავის საქმე სასამართლომ უნდა გაარჩიოს, სანამდე ეს სასამართლო მოასწრობდეს საქმის გამოძიება—გარჩევას, ისინი ოთხ ხუთ აჯანყებას მოგვიწყობენ, და მაშინ კი იარაღის [illegible] მოგვიხდება, რომელსაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა მივმართოთ. თქვენ იძახით, რომ გაფიცულთ ბაქოს პროლეტარიატი უჭერდა მხარს; ბატონებო, იქნება პარიზში ჩვენ გვიჭერდენ მხარს. რატომ ცხრა მთის იქით მიდიხართ და რატომ პროფესიონალური კავშირის საბჭო არ მიგაჩნიათ პროლეტარიატის წარმომადგენლად და მხოლოდ ზოგიერთი კავშირი მიგაჩნიათ მუშათა წარმომადგენლად. ორატორი კითხულობს მუშათა საბჭოს დადგენილებას (ადგილიდან: ეგ მოხდა თქვენი კარნახით) თქვენც ისევე გიკარნახებთ, მაგრამ რატომ ისე არ გესმით (ტაში). განა იმის მთქმელი, ვინც იძახდა—გასოვდეთ, სახალხო დაარღვია მეშვიდე არმია და ჩვენც თფილისში გავრცელებულ სახადით ვისარგებლებთ და გავიმარჯვებთო. ამის მთქმელი ციხეში, რომ ჩასვა, განა ეს დანაშაული არის? თფილისის მუშათა კლასმა მოიწონა საბჭოს საქციელი. მთავრობას შეგიძლიათ უსაყვედუროთ იმაში, რომ მაგნე პირებს არ ჰქონდეთ ფართე ასპარეზი თარეშის და თუ რაიმე ნაკლი არსებობს ამ მხრივ ეს აიხსნება მით, რომ ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ და წინ ბევრი დაბრკოლებები გვეღობება.

კამათი დასრულდა. მიიღეს სოც.-დემ. შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მთავრობის პასუხი სოც.-რევოლიუციონერების შეკითხვაზე ქალაქის გაფიცულ მოსამსახურეთა დატყვევების შესახებ, დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ მთავრობას მიუღია ზომები არა გაფიცულთა წინააღმდეგ, არამედ იმ გარეშე პოლიტიკურ ელემენტებისა, რომელნიც გაფიცვით სარგებლობდენ ჩვენი რესპუბლიკის დასამხობათ, რომ ამ მიზნით მიღებული [ზომები და რე]პრესიები გამოწვეული იყო დემოკრატიის ინტერესების დაცვით. დამფუძნებელ კრებას იმედი აქვს, რომ ანარქიის ჩასაქრობათ მთავრობა შემდეგშიაც არ დაერიდება მიზან-შეწონილად რეპრესიულ ზომების მიღებას დემოკრატიის და მუშათა კლასის აშკარა, თუ ფარულ მტრების წინააღმდეგ და სრულიად დაკმაყოფილებული გადადის მორიგ საკითხზე.

მეორე შეკითხვა იყო ესერებისავე, შავი ზღვის პირას რკინის გზის ქონების დატაცების შესახებ. შეკითხვას იცავს დ. შენგელაია. მას ვრცელ პასუხს აძლევს გზათა დეპარტამენტის დირექტორი პეტინაძე.

მიიღეს რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ მოისმინა რა შეკითხვის შესახებ განმარტება გზათა უწყების წარმომადგენლის, დამფუძნებელი კრება დაკმაყოფილებულია ამ განმარტებით და გადადის მორიგ საკითხზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

31 მაისი

შვეიცარიული პრესის ცნობები

გერმანიის საპასუხო საზავო წინადადებანი ვერსალში ხუთშაბათს გადასცეს.

შვეიცარიის პრესის ცნობებით შვეიცარიის ფედერატიულმა საბჭომ დაამზადა პასუხი მოკავშირეთა იმ ნოტაზე, რომელშიაც მოითხოვდენ, რომ შვეიცარიას მონაწილეობა მიეღო გერმანიის ახალ ბლოკადაში. საპასუხო ნოტაში უარია განცხადებული ბლოკადაში მონაწილეობის მიღებაზე.

ინგლისის საზავო საბჭოს წარმომადგენელმა ჩალრს ტრევეზიანმა „მანჩესტერ გარდიან“-ში გამოაქვეყნა პროტესტი საზავო პირობების წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ დროებით სწყვეტს საომარ მოქმედებას და არ შეიძლება მათ საერთაშორისო ზავის ჩამოსაგდებ საშუალებად ჩაითვალოს. საერთაშორისო დემოკრატია ისეთ ზავს მოელოდა, როგორიც რამდენიმე ხნის წინად ვილსონის სიტყვებში იყო დახასიათებული. ეხლანდელი პირობები კი მკაცრად გასაკიცხია. პროტესტში ნათქვამია, რომ ვერ განხორციელდება ის ხელშეკრულება, რომელიც რესპუბლიკანურ და რევოლიუციონურ გერმანიას უნდა წარუდგინონ. საარის საკითხის გადაწყვეტის დროს დაშვებულია იგივე შეცდომა რაც 1871 წ. პრუსიამ დაუშვა. აღმოსავლეთ პრუსიის ჩამოშორება და დანციგის საკითხის გადაწყვეტა ეროვნულ გრძნობას შეურაცხყოფს. მანდატების სახით სხვადასხვა გვარ ნამდვილ ანექსიებს ახორციელებენ. არავითარ თვითგამორკვევის უფლება არ ეძლევათ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ანექსიის სახით იერთებენ, ნდობოლობის სახელით. განუსაზღვრელი ანაზღაურება მონობის უღელს ადგამს გერმანიის მუშებს. პროტესტი ასე თავდება: არავინ დაიჯერებს, რომ ასეთ პირობებს დიდ ხანს მოითმენენ, ამიტომ ეს პირობები უნდა უარყოს ყველამ დემოკრატმა, პაციფისტმა და ინტერნაციონალისტმა. შესაძლებელია შიშმა აიძულოს გერმანია ხელი მოაწეროს ზავს, მაგრამ ინტერნაციონალისტები, რომელნიც საერთაშორისო დემოკრატიას ეკუთვნიან, მედგრად მოითხოვენ ხელშეკრულების გადასინჯვას“.

როდესაც ცნობა მოვიდა, რომ სამშაბათს კობლენცში რეინის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ, ქალაქში საყოველთაო გაფიცვა მოხდა. გაიმართა დიდი დემონსტრაციები, რომლებზედაც განაცხადეს მკაცრი პროტესტები რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ეხლანდელ პირობებში.

ლიტვის მინისტრ-პრეზიდენტმა ბერლინში ბროკდორფ რანცაუს და მოკავშირეთა ყველა მთავრობებს გადასცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბოლშევიკებისაგან მცხოვრებთა დაცვის საბაბით პოლონელებმა ლიტვის დიდი ნაწილი და მთავარი ქალაქი ვილნო დაიპყრეს, მაგრამ მცხოვრებთა დაცვის მაგიერ პოლონელები მკვლელობას, ძარცვა-გლეჯას და ძალადობას ახდენენ, განსაკუთრებით კი ებრაელთა შორის. ლიტვის მთავრობა მოითხოვს, რომ პოლონელებმა დასცალონ ლიტვა და აანაზღაურონ მცხოვრებლებისთვის მიყენებული ზარალი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ხუთშაბათს ნაშუადღევს საზავო კონფერენციას გერმანიის საწინააღმდეგო წინადადებების მეორე ნაწილი გადაეცა. წინადადებები 150 გვერდს შეიცავს. პირველი 88 გვერდი, რომელიც საწინააღმდეგო წინადადებების შესავალს წარმოადგენს, უკვე დაბეჭდეს და 20 მთარგმნელს გაუნაწილეს, ინგლისურ და ფრანგულ ენაზე გადასათარგმნელად.

„ტან“-ი იუწყება, რომ მოხდა შეთანხმება ადრიატიკის საკითხის შესახებ და ათავსებს შემდეგ ცნობას: „პრეზიდენტმა ვილსონმა, რომელმაც დღეს სამხრეთ სლავიანთა წარმომადგენლები უნდა ინახულოს, მოიწონა ორლანდოს მიერ შემუშავებული შეთანხმების ტექსტი, რომლის მთავარი პირობები შემდეგია: 1) ქ. ფიუმე განაპირა ადგილის, სიუშაკის გარდა, ქალაქის დასავლეთით მდებარე ადგილებთან ერთად დამოუკიდებელ სახელმწიფოთ უნდა გამოცხადდეს, ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ. ეს სახელმწიფო იტალიის მოსაზღვრე იქნება, მასში შევა ფიუმედან ლეიბახში მიმავალი რკინის გზის ლიანდაგი. 2) ზარა და სებენიკო იტალიის მფარველობის ქვეშ იქნება და იტალიამ უარი უნდა სთქვას დალმაციის სანაპიროს და მის აღმოსავლეთით მდებარე სხვა ადგილების შესახებ თავის მოთხოვნილებებზე. 3) იტალიის სუვერენიულ უფლებების ქვეშ იქნება აგრეთვე ფიუმეს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კუნძულები შერსო, ლუსინკი და აგრეთვე ლისა და სხვა მეზობლად მყოფი კუნძულები. 4) მეორეს მხრით ხალხთა ლიგა იტალიას აძლევს ალბანიის მანდატს, სადაც ლონდონის ხელშეკრულების ძალით იტალიას უპირატესობა უნდა ჰქონოდა მინიჭებული.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. მურმანის რაიონი. რკინის გზის რაიონში ბრძოლაა. ნარვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ზერნოვი და გოტობუჟა დაიპირა. ლუგის რაიონი. ჩვენმა ჯარმა ვოლოკა დაიპირა. ლუგის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მდ. ბერდეზისკენ დაიხია. პსკოვის რაიონში მხედრები მოქმედებენ. მარიენბურგის მიმართულებით ლატიშთა წითელმა ჯარმა სოფ. მურიანნოვდელ-გარევენ სპურისტის ხაზზე ახალი პოზიცია დაიპირა. ვოლმარის რაიონში ლატიშთა წითელმა ჯარმა დაიხია სოფელ... (დამახინჯებული და გამოტოვებულია).. ბრძოლის შემდეგ ჩვენ ასტრახანის დასავლეთით 140 ვერსზე ხარახუსოვსკაია დავსტოვეთ. ასტრახანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა განიუშკინო დასტოვა. აღმოსავლეთის ფრონტი. ორენბურგის რაიონში ჩვენ ტატიშჩევკო დავსტოვეთ. სტერლიტამაკის რაიონში ჩვენ ალაგუზოვოდოვე დავიპყრეთ. ბელებეის და ბუგურუსლანის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით 20 ვერს. წინ წაიწია. ბირსკის მიმართულებით. მოწინააღმდეგე, რომელიც ბელაიასთან დავამარცხეთ, გზით ბირსკში წავიდა. ჩვენ ელაბუგის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით 56 ვერსზე მდებარე ხაზს მივაღწიეთ.

ინგლისური პრესის ცნობები.

მოელიან, რომ პარასკევს ავსტრიელებს დაუმთავრებელ ხელშეკრულებას გადასცემენ, რომლის დროს არავითარ ცერემონიას ადგილი არ ექნება. ხელშეკრულება ყვითელ ქაღალდზეა დაწერილი.

იტალია ჯერ ისევ აბრკოლებს საზღვრების და ფიუმეს საკითხების გადაწყვეტას და აღნიშნავს, რომ ეს ორივე საკითხი ერთი მეორეზეა დამოკიდებული.

ქართველ მხატვართა გამოფენა

ვსწერ ამ სტრიქონებს ქართული გამოფენის შესახებ ხელოვნების არა იმ სასტიკ დამფასებლებისათვის, რომლებიც მიდიან გამოფენაზე დიდი ცოდნით შეიარაღებულნი, რომლებიც გამოცდილნი არიან თანამედროვე მხატვრობის გამოფენებზე მრავალ-წლიურ მისვლით და დათვალიერებით; არა იმათთვის, ვინც ფხიზელი და სასტიკი თვალით მსჯელობენ იმის შესახებ, გამოჩენილ მხატვართ ისევ ისე მაღლა უჭირავთ დროშა თავის ადრინდელი გამარჯვებებისა თუ არა, ან იძლევიან თუ არა რაიმე იმედებს ახალი მხატვრები. უფრო ნაკლებად მსურს მე გასწავლო ან მივცე რაიმე დარიგებები მხატვრებს, რომელთაც აურჩევიათ ესა თუ ის მიმართულება, ანდა უსურვო მათ ესა თუ ის შესწორებანი. ასე უკეთესი იქნებოდა მეთქი. მე ვსწერ ამ სტრიქონებს იმათთვის, რომლებიც მასსის ფსიქოლოგიაში მომხდარ გარდატეხის გამო მიისწრაფიან კულტურისაკენ, რომლებიც დიდი სულიერი სიმშილის გამო მოწყურებული არიან ახალ სულიერ საზრდოს და მიდიან გამოფენაზე, რომ ნახონ მათთვის ხშირად საკვირველი სურათები, რომ ყველაფერი გაიკვირონ, ბევრი რამე ვერ გაიგონ, მაგრამ, რომ ყველაფერი მაინც ასე თუ ისე გაითვისონ თავისი სათუთი გრძნობით და რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ გადიფიქრონ და ხელ ახლა გამოსცადონ ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც მათ მიიღეს გამოფენაზე. მე ამათთვის ვსწერ. მათთვის მე დავიწყებ სურათთა განხილვას იმ ტილოებიდან, რომლებიც ეკუთვნიან ეხლად წარსულ რეალისტურ სკოლას მხატვრობაში, ესე იგი ისეთ სკოლას, რომლის მიზანია გადმოგვცეს სურათზე ბუნება ისევე, როგორადაც ის არის ნამდვილად, ისეთი, როგორსაც ჩვენ მას ვხედავთ. ამავე სკოლას ეკუთვნის აგრეთვე სურათები ისტორიული მხატვრობისა, რომელიც მიისწრაფის მკითხველის წინაშე აღადგინოს ის ისტორიული პიროვნებანი, რომლებიც მის სულთან უფრო ახლო სდგანან. ტრადიციულმა ბრძოლამ კრწანისის ველზე, სადაც მოხუცებული, მაგრამ გაუტეხელი მეფე საქართველოისა ირაკლი, რომლის საფლავზე ხალხი აქამდე წმინდა აღთქმას სდებს ხოლმე, იძულებული იყო უთანასწორო პირობებისა გამო დაეთმო თავისი საყვარელი დედაქალაქი სპარსეთის ჯარებისათვის ასაოხრებლად—ამ ყველამ ამან სული ჩაბერა ორ მხატვარს, ისტორიული მხატვრობის წარმომადგენლებს. მათგან პირველია მრევლიშვილი, რომლის დიდი ტილო გამოხატავს მეფე ირაკლის იმის შემდეგ, როდესაც ის თავის ლეიბ-გვარდიასთან და ორ მხლებრთან ერთად, დაჰკარგა რა მთელი თავისი ჯარი უთანასწორო ბრძოლაში, დარჩა, რომ გამოეტირა თავისი უბედურება. ამ მხატვარს ეკუთვნის რამოდენიმე პატარა სურათები ტიპიურ რეალისტურ მხატვრობისა. განსაკუთრებით მე აღვნიშნავ მის „მინებს“, სადაც ქიქა, სამელნე და ბანკა შუშისათვის დამახასიათებელი ბრჭყვიალით გამოხატული აქვს განსაკუთრებული სიცხოველით. მისი „მცხეთის ტაძარი“ და „გაზაფხული“ შეძენილი აქვს მთავრობას მუზეუმისთვის. მეორე წარმომადგენელი ისტორიული მხატვრობისა და აგრეთვე ბატალისტი (ე. ი. მხატვარი, რომელიც სწერს ბატალიებს — ფრანგულად ბრძოლას ნიშნავს), არის სიდამონ-ერისთავი. მისი დიდი სურათი კრწანისის ბრძოლისა გამოხატავს იმ მომენტს, როდესაც ირაკლი, ხედავს რა, რომ მისი ჯარი დამარცხებულია, სტოვებს ბრძოლის ველს. ყურადღებას იქცევს მეორე „კრწანისიც“, რომელიც შავი ტონებით არის შესრულებული, აგრეთვე დიდი ტილო, რომელზედაც გამოხატულია სახალხო გმირი საკაძე. იმავე ავტორს აქვს სურათები, რომლებიც ყოფა-ცხოვრებას გამოხატავენ, როგორც, მაგალითად, „შურის მაძიებელნი“, „შიკრიკი ხევსურეთში“ და სხვ. აგრეთვე პეიზაჟები, ე. ი. ბუნების გამოხატვა უფრო ფართო მასშტაბით. აღვნიშნავ აგრეთვე სურათს საქართველოს ძველი მითოლოგიიდან „არმაზს“, რომელიც კარგად გამოხატავს იმავე სახელწოდებისა—მზის ღმერთის. სხვათა შორის, არმაზი გამოყვანილია [illegible] ოპერაშიც „კერპთა დამხობა“ და მათ, ვისაც ეინტერესება ძველი საქართველოს კულტი, რომლის დამხობაც შეადგენს მთავარ აზრს აღნიშნული ოპერისა, შეუძლიან ნახოს ამ სურათზე, თუ როგორი იყო ის იმ დროში. საგაზაფხულო პეიზაჟი შეძენილი აქვს მთავრობას.

ბატალისტებისა და ისტორიკოსებისაგან (მხატვრობაში) გადავიდეთ პორტრეტთა მხატვრობის წარმომადგენლებთან, ამისთვის გავყვეთ მარჯვენა დარბაზს შესავლიდან. ამ დარბაზის სიღრმეში მარცხნივ ჩვენ დავინახავთ ჯორჯაძის მთელ რიგ პორტრეტებს. მისი ეტიუდი *), რომლისთვისაც დაურქმევია რემბრანდტის (ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრის) წერის მანერა, გვიჩვენებს მხატვრობის დიდი ხელოვნების იმ ფესვებს, რომლებითაც იკვებება მხატვარი. როგორც უწყებულია, რემბრანდტი ითვლება მხატვრობაში დაჩრდილულობის მამამთავრად ე. ი. რემბრანდტმა პირველმა დაიწყო თავის მოდელის გამოხატვა არა აშკარად განათებულისა(?), არამედ ჩრდილში, ის, იღებს საღებავთა და სინათლის მოძრაობას ჩრდილში. მაგრამ რემბრანდტის გარდა, ეს მხატვარი თავის წერის მანერაში აგრეთვე არის მიმდევარი ცნობილი გერმანელი მხატვრის ლენბახისა. საკუთარი პორტრეტი მხატვრისა მუზეუმისთვის არის შეძენილი.

მეორე პორტრეტისტი, რომელიც აგრეთვე რეალისტურ მიმართულებას ეკუთვნის, არის ქიქოძე, ავტორი პორტრეტისა „ირაკლი წერეთელი“ (მთავრობის მიერ არის შეძენილი) და სხვა პორტრეტებისა, აგრეთვე ავტორი სურათისა, რომელიც გამოხატავს ქალს აჭარის მთის პეიზაჟის ფონზე. უბრუნდები რა წერეთლის პორტრეტს, მე ვიტყვი, რომ იმ პირთათვის, რომლებიც მოუსმენიათ მისი სიტყვა კათედრიდან, დაუნახავთ მისი მაღალი ფიგურა ამ დროს, მეტად საინტერესო იქნებოდა ენახათ მისი პორტრეტი ამ ლაპარაკის მომენტში—ეს მეტად ძნელი შესასრულებელი საქმეა. მთელი რიგი ესკიზებისა, რომლებთა სინტეზიც იქნებოდა პორტრეტი, საინტერესო ამოცანა იქნებოდა მხატვრისათვის.

მესამე პორტრეტისტად, მაგრამ რამოდენიმედ სხვა მანერისა, ჩაითვლება კაკაბაძე. მისი სურათები, მათი საპეიზაჟო ფონით, რომლებთაც სტილიზაცია *) აქვთ გაკეთებული, მოგვაგონებენ ძველ გერმანულ პორტრეტებს ძველი კელნის ხელოვნებისა. ამას გარდა, კაკაბაძეს შეიძლება უწოდოთ იმერეთის მომღერალი მხატვრობაში. მთელ რიგ სურათებსა და ესკიზებში გამოხატავს ის თავის მშობლიურ ქვეყანას, მაგრამ ის გამოჰხატავს მათ არა წმინდა რეალისტურად, არამედ სცდილობს გამოაშკარავოს დამახასიათებელი თვისებანი იმერეთის პეიზაჟისა და მას სურს ის წარმოგვიდგინოს მწვანე ველ-მინდვრების და შეყვითლებული იმ ხავერდით, როგორადაც ის შეიძლება წარმოიდგინოს მხატვრის თვალმა, რომელიც მიისწრაფის აღნიშნოს ყველაზე სილამაზე. საინტერესოა მისი სურათები ძველი თფილისისა, რომლებთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ძველი ქალაქის ძველი სილამაზის მოყვარულთათვის, რომელი სილამაზეც დღითი-დღე ქრება და რომლის ხელახალი აღდგენა, ეჭვი არაა, უნდა შეადგენდეს ახლობელი დროის ამოცანას. ეს რამოდენიმე სურათიც მთავრობის მიერ არის შეძენილი იმერეთის პეიზაჟის და „ნატურ მორტ“-ებთან ერთად („ნატურ მორტ“—სიტყვა სიტყვით ნიშნავს მკვდარ ბუნებას, ე. ი. გამოხატვას საგნებისა, ხილისა და სხვა ამგვარის).

შემდეგ მიდის გაბაშვილის სურათები, რომლის გვერდზე №№ ის პორტრეტს ეტყობა დიდი მსგავსება უნდა ჰქონდეს ორიგინალთან მისი „სამარკან-

*) ეტიუდები მხატვრობაში ეწოდება ისეთ ნაწარმოებს, რომლებიც ეკუთვნიან შესასწავლ ან სავარჯიშო რიგს მხატვრობის ტექნიკის სხვა და სხვა დარგებში.

*) სტილიზაცია ჰქვია მხატვრულ გამოხატვის ისეთ მანერას, როცა საგნები გამოიხატება არა ის, როგორც გვეჩვენება, არამედ სხვანაირად ძველი დროების მხატვრების სტილის მიხედვით.

ლი. იმ ხელშეკრულებაში, რომელიც პარასკევს ავსტრიელებს უნდა გადასცენ. საზღვრები დაწვრილებით არ არის აღნიშნული. ასეთი დაჩქარება იმითაა გამოწვეული, რომ ავსტრიის დელეგატებს არ სურთ ვერსალში კიდევ დარჩნენ. დანარჩენი საკითხები შემდეგ გადაწყდება. გერმანელები მოელიან, რომ საპასუხო წინადადებებს ოთხშაბათს დაასრულებენ და, სულ უკეთეს, ხუთშაბათს უკვე გადასცემენ. დელეგაციის 56 დელეგატი ვერსალს დასტოვებს და ოთხშაბათს განსაკუთრებული მატარებლით ბერლინში წავლენ. ამ დელეგატთა შორის საფინანსო ექსპერტებიც არიან, რანტცაუ თავის ამალით სპაში ან ბერლინში გაემგზავრება, მაგრამ უკანვე დაბრუნდება.

ნუცა ჩხეიძის იუბილე

ოცდა ხუთი წელია ჩვენს სცენას ამშვენებს ნუცა ჩხეიძე. ოცდა ხუთი წელია ჩვენ სცენას დარაჯათ უდგია და თავის ღვთაებრივი ცეცხლით ანთებს მსმენელთა სცენისადმი გულში სიყვარულს. ოცდა ხუთი წელია დაუზოგველად, დაუშრეტელი ენერგიით ის გზას უკაფავს ჭეშმარიტ ხელოვნებას ჩვენს სცენაზე. არ გეგონია იყოს ცოტათ თუ ბევრათ კულტურული ქართველი, რომ მას ნუცა ჩხეიძე არ გაეგონოს, არ ენახოს სცენაზე, არ ეტიროს მასთან ერთად, არ ეცინოს მასთან ერთად.

ნუცა ნამდვილი ხელოვანია. როგორც ასეთი, ის უკვე ცნობილია ჩვენს საზოგადოებაში და მისი სასცენო ნიჭი დავას არ იწვევს.

დღეს მოკლებული ვართ საშუალებას დავაფასოთ სავსებით მისი დიდი ნიჭი, გავაცნოთ მკითხველს მის მიერ გაპიროვნებული პერსონაჟები, აღვნიშნოთ მისი ოცდა ხუთი წლის სრული მოღვაწეობა. დადგება ამისთვის შესაფერი დრო და ამაზე წერა უმაღლეს სიამოვნებას მიანიჭებს მადლიერ კალამს.

დღეს ვკმაყოფილდებით მხოლოდ წრფელი და მხურვალე მილოცვით და ვუსურვებთ მას კიდევ დიდი ხნით მშვენებას ჩვენი სცენისას.

ახალი ამბები

დღეს, 1 ივნისს, დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში (ვორონცოვის ქუჩა) შესდგება თბილისის მუშათა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს არაჩვეულებრივი კრება, რომელზედაც მოწვეული არიან პროფესიონალურ კავშირთა გამგეობების წევრები, იმავ კავშირთა დელეგატები და საქარხნო საფაბრიკო კომიტეტების წევრები. კრება მოისმენს და განიხილავს მოხსენებას მიმდინარე მომენტის შესახებ. მანდატების ქონა სავალდებულოა.

◆ გაზეთის დახურვა. შინაგან საქმეთა მინისტრი გაეცნო რა იმ ყალბ ცნობებს, რომლებიც სისტემატიურად თავსდება „ტიფლისკაია გაზეტა“-ში და „ნოვოსტი დნია“-ში მოხალისეთა ჯარის შავი ზღვის და კასპიის ზღვის მხრივსაკენ მსვლელობის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ ეს ცნობები აშკარათ ემსახურება იმ მიზანს, რომ გამოიწვიოს მშვიდობიან მცხოვრებლებში არევ-დარევა და მისი სულიერი სიმშვიდის დაკარგვა და ხელი შეუწყოს არსებულ სახელმწიფოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებას, დაადგინა: ხსენებული გაზეთების—„ტიფლისკაია გაზეტა“-ს და „ნოვოსტი დნია“-ს გამოსვლა შეწყვეტილ იქნას და მათი რედაქცია-კანტორები დაბეჭდილი.

◆ აზერბეიჯანში მობილიზაცია გამოცხადდა. მდგომარეობა უცვლელია. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში დიდძალი ახალგაზრდობა მიდის თფილისიდან აზერბეიჯანისაკენ.

◆ სახალხო სახლში. ორშაბათს, 2 ივნისს, სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ქრისტინე“. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს რვა საათზე.

◆ საღამო თფ. მე 8 გიმნაზიაში. სამშაბათს, 8 ივნისს თფილისის მე-8 გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეების მიერ ქალთა მე-7 გიმნაზიის შენობაში (ყოფილი ქ. ყოფილი ინსტიტუტი) გაიმართება გამოსათხოვარი საღამო. წაიკითხება რეფერატები, ლექსები, სცენები, კუპლეტები; დაიდგმება ვოდევილი. ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა. ბოლოს იქნება სიმღერა და ცეკვა. იქნება ფოსტა და სხვა გასართობები. ბილეთები იმ საღამოს გაიყიდება აღნიშნულ დარბაზში.

◆ სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელი სექცია სთხოვს ლექტორებს და მასწავლებლებს წაიკითხონ ხალხში ლექციები ჯარის ნაწილებში სხვა და სხვა თემაზე.

◆ სახალხო უნივერსიტეტი. დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის მეხუთე განყოფილებაში (წმ. ნინოს უბანი) დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) ექ. ტურიაშვილისა „გიგიენა“, 2) ვპ. ალშიბაიას „ელექტრობა და ორთქლი“, 8) კ. ქავთარაძე „ისტორია“.

თფილისის რკინის გზის სადგურის შენობაში დილის 10 საათზე დანიშნულია მოხსენებები: 1) ვპ. ალშიბაიას „ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა“, 2) ალ. ქორქელიანი „მესამე ინტერნაციონალი“. დასწრება შეუძლიათ რკინის გზის მუშებსა და მოსამსახურეთ.

ხვალ, ორშაბათს, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები:

2) განყოფილება (ვერა) 1) ვ. სავგარელიძის „კონსტიტუციის უფლება“, 2) გ. ზარნდავი „ქართული მწერლობა“, 8) ვპ. ალშიბაია „ელექტრობა და ორთქლის ძალა“.

2) განყ. (ჩუღურეთი) 1) გ. ნათაძის „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია“. 2) ილ. ნაკაშიძე „ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“. 8) გ. კოტეტიშვილი „სოციოლოგია“.

მეოთხე განყოფ. (ვერთიბის უბანი) 1) ვ. ალშიბაია „ელექტრობა“. 2) ექ. ტურიაშვილისა „გიგიენა“. 8) გ. ნათაძე „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის უძველესი ისტორია“.

◆ „26 მაისი“ ბაქოში. საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა დეპეშით აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავის შესრულების გამო. მისია ინახულეს და მიულოცეს ბაქოში მყოფ ყველა მინისტრებმა პრემიერ უსუბეკოვის მეთაურობით, იყო პარლამენტის პრეზიდიუმის წარმომადგენელი პეპინოვი, მთიელთა დელეგაცია, სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ბეგზადიანი, სომხეთის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელი პარონიანი, ტერ-მიქაელიანი, ჩუბარიანი, „მუსავატის“ პარტიის წარმომადგენელი რასულ-ზადე, შეფი-ბეგ რუსტამბეკოვი, ექიმი რაფიევი, უკრაინის, ებრაელების, გერმანელების წარმომადგენლნი, ქართველთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელნი, ბაქოს გუბერნატორი, და სხ. მილოცვები დილის 12 საათიდან საღამოს 7 საათამდე გაგრძელდა.

◆ დამფუძნებელი კრების არაჩვეულებრივი სხდომა შესდგება დღეს შუადღის 12 საათზე. მოხსენებას გააკეთებს საგარეო საქმეთა მინისტრი.

◆ ქისტების თავდასხმა თუშებზე. დამფუძნებელი კრების წევრს გ. ცისკარიშვილს მოუვიდა თუშეთიდან ცნობა, რომ 20 მაისს თუშების საზაფხულო სოფელ ტბათანში 120-მდე ქისტი დაესცემია ხუთ ბინის ფარას, გაურეკიათ 8000-მდე ცხვარი და მოუკლავთ ორი მწყემსი. ქისტებს გამოსდევნია 10-მდე თუში და ცხვარი შეურჩენიათ გზაზე. თუშებს მიშველებიათ 8 ფშაველი, და შემდეგ 100-მდე მხედარი, ბრძოლა ჯერ კიდევ სწარმოებს, თუშების მხრივ მოკლულია 6 და დაჭრილია რამდენიმე. თელავის ერობაში და მთავრობასთან გამოგზავნილ არიან შიკრიკები, რომლებიც დახმარებას ითხოვენ. გ. ცისკარიშვილმა მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს სათანადო განცხადებით.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, დილის 10 საათზე, მე-6 რაიონის კოლექტივის ს. ს.-დ. მ. 3. ბიურის ბინაზე, დანიშნულია მე-6 რაიონის კოლექტივის, მე-4 და მე 5 მცირე კოლექტივების, ქალთა ორგანიზაციის, ახალგაზრდა მარქსისტთა კოლექტივის, მებაღეების, მეაბანოების და დალაქების მუშათა წარმომადგენელთა შეერთებული არაჩვეულებრივი კრება. ვინაიდან ეს კრება მეორეთ არის დანიშნული, ამისათვის დასწრება აუცილებელია.

— კვირას, 1 ივნისს, დილის 9 ნახ. საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის არაჩვეულებრივი, სასწრაფო სხდომა.

— დღეს, 1 ივნისს, ქართ. კლუბის დარბაზში დილის 11 საათზე, შესდგება წლიური კრება ქარ. სამუსიკო საზოგადოებისა.

ანდრეიკა ჟორდანიას სახელობის ბაღი

ანდრეიკა ნოეს ძე ჟორდანიას სახელობის საბავშო ბაღის გასაშენებლად მივიღე დამფ. კრების სოც. დემოკრატიული ფრაქციისაგან ხუთასი მანეთი. ბაღის გამშენებელი კომისიის წევრი

გრ. ურატაძე.

თეატრი და მუსიკა

გიორგი იმხნელის ათი წლის ბენეფისი.

ოთხშაბათს, 4 თიბათვეს, სახელმწიფო თეატრში შესდგება გიორგი არადელი-იმხნელის ბენეფისი, სცენაზე ათი წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ცნობილი ხუთ მოქმედებიანი დრამა „ღალატი“. მონაწილეობენ: ნინო დავითაშვილი, ელის. ჩერქეზიშვილი, ტასო საგინაშვილი—ზეინეტა, ალისა ქიქოძე, ილ. ზურაბიშვილი—გელევთარიძე, შალვა ზარაშიძე—თავუნა, გ. არადელი-იმხნელი, სოსო რომანიშვილი, გ. ფრონისპირელი, პლ. კორიშელი, ვალ. გუნია, ალ. იმედაშვილი, დ. ჩარკვიანი, დ. მჟავია, ვ. ჯიქია, პ. ფრანგიშვილი, ნ. ციციშვილი, ბადრიძე. პიესას დასდგამენ რეჟისორები ალ. წუწუნავა და ქ. ანდრონიკაშვილი.

რაფიელის ხსოვნას

დღეს მე უძლური ვარ, გონება აღარ მემორჩილება; ნუ თუ დავიჯერო, რომ დღეს ორმოცი შესრულდა, რაც უსამართლო სიკვდილმა რაფიელი მოგვტაცა. ვინც იყო და რაც იყო რაფიელი ჩვენ, ქართველმა მუსულმანებმაც, ვიცოდით. იცნობდა მას აჭარა-ქობულეთი და არ ვიცი კიდევ თუ არის რომელიმე კუთხე დარჩენილი საქართველოსი, რომ მას არ იცნობდენ. ყველა იცნობდა, ყველას გაგონილი ჰქონდა რაფიელის ტკბილი იმედების მომცემი ხმა. მახსოვს, როცა შიშსა და რწევას განვიცდიდით ოსმალოს შიშით, როგორ დაქროდა რაფიელი ყოველ კუთხეში. რაზმავდა ჯარს მტრების წინააღმდეგ, სადაც მოლაპარაკება და შეთანხმება იყო საჭირო, იქ დელეგაციას აწყობდა, მახსოვს, როცა ის ჩვენ გვეწვია დელეგაციით, მას თან ახლდენ მებრძოლი გურულებიც და სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელნი. ის თვით კი იყო სეიმიდან. ჯერ ჩვენთან გამართა საუბარი და, რა მიიღო ჩვენგან იმედიანი პასუხი, მოგვაწვევია საერთო კრებაზე მთელი სოფლის წარმომადგენელნი, რომელსაც დაესწრენ ყველა სოფლები. გახსნეს კრება, რაფიელს სთხოვეს ხელმძღვანელობა კრების, მაგრამ მან მოითხოვა ადგილობრივის არჩევა. არჩეული იქნა გულო-ბეგ კაიკაციშვილი, ილაპარაკეს ყველა წარმომადგენლებმა. რაფიელი ბოლოს ჩამორჩა. ის ამ დროს ხალხს შესცქეროდა და ათვალიერებდა, ვის როგორი შთაბეჭდილება ეხატოდა სახეზე. აი მოთავდა ყველა ლაპარაკი. არის ჩვენებისაგანაც პასუხი, მაგრამ რაფიელი ყველა ამათ ინიშნავს და არას ამბობს, მოითავდა ლაპარაკი და რაფიელიც ადგება, გამოდის მწარედ დაღონებული, მაგრამ რა გადახედავს ზღვა ხალხს, ის ნაბიჯს წინ სდგამს და მიმართავს ხალხს: ძმანო ქართველო მუსულმანებო! მოვსულვართ დღეს თქვენთან თქვენი ღვიძლი ძმები, მხოლოდ სარწმუნოებით გათიშულნი, გვეგონეთ თქვენი აზრი, გამოგვიცხადეთ დღეს ჩვენი დარჩენის აქ არ ყოფნის საკითხი, რომელიც მოგვცეს ჩვენ ოსმალოს შემოსვლით და დღეს, როცა საკითხი ასე მწვავეთ სდგას, გაგვიგოთ თქვენგან, რას ფიქრობთ თქვენ. მე გამოგზავნილი ვარ ამიერ-კავკ. სეიმისაგან, რომ მოგახსენოთ ყოველივე. აქ ნათქვამი უნდა იყოს ნამდვილ გულიდან ამონადენი. აქ ნათქვამი სიტყვები მოეფინება მთელ ქვეყანას, გადაეცემა ჟურნალ-გაზეთებს და ეცნობება მთელ ქვეყნიერებას და თქვენც ერთხმად უნდა იყვეთ, რომ შემდეგ არ გამოვიდეს ისეთი ღალატი, რომელიც ჩირქს მოსცხებს თქვენს მომავალ თაობას და რომლებიც წყევლა-კრულვით მოგიხსენიებენ თქვენ. ჩვენ სხვას არაფერს ვერთმევით, მაგრამ ჩვენსასაც არ დავანებებთ, და თუ, ვინიცობაა, მოლაპარაკება არაფერი გაკეთდება და მაინც წამოვლენ, ჩვენ მაშინ დამშვიდობით შევხვდებით და მტერს მტრულად დავხვდებით—ამ სიტყვებით თითოეულ ქრისტიანის ჩაუდება გულში, ბევრი ცრემლსაც ვერ იკავებდა, მით უფრო, როდესაც მან ხელი გაწვდით მიმართა ხალხს: ქართველი დედა იმის გაზრდილი წითელი დროშით ხელში ითხოვს შველას უკანას, ყველას, განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ამ დროს ლაპარაკობდენ იყო ეს სიტყვები, მაგრამ ხალხიდან იყო ერთხმა ფიცის მიცემა: ჩვენამდე სისხლი იმედი გვქონდეთ, ჩვენ თოფს ვერც ერთს ვერ ვესვრით, ისე კი, რითაც შეგვეძლება და გავეწერთობით. უნდა გენახათ რაფიელი, როგორი იმედით და აღფრთოვანებული გამოვიდა კრებიდან და იმ დღესვე ბათუმისაკენ გასწია დელეგატებით აჭარისაკენ წასასვლელად. თუმცა ბევრი ვილაპარაკეთ, აჭარაში ნუ წახვალთ, რად...

-ლის ბაზარი“ რამოდენიმედ დაწერილია ვერეშჩაგინის მანერით. „აღდგომის დღე“ ცხოვლად გამოხატავს ძველი საქართველოს დროის ტარებას და მისი ძველი კოსტიუმის სილამაზეს.

გადავდივარ ქართველ მხატვართა გამოფენაზე მხატვრობაში ლირიკის წარმომადგენელზე—მოსე თოიძეზე. მისი სახეების მთელ რიგს, რომლებიც შესრულებულია ცისფერ ტონებით, მე დავარქმევდი ნოქტიურნებს, მუსიკალურ ტერმინს, რომელიც იხმარება მუსიკალურ ნაწარმოებთა დასახასიათებლად, როცა ისინი ღამის სულიერი განწყობილებას გამოხატავენ. ამ გვარ სურათთაგან უფრო მარჯვედ არის შესრულებული პატარა სახეები მარცხნივ ძირს. მაგრამ ნოქტიურნებს გარდა თოიძე სწერს აგრეთვე გაზაფხულის სიხარულსაც, და მიზნათ აქვს გადმოგვცეს ნახულის არა რეალისტური თხრობა, არამედ თავისი სულიერი განწყობილება. ის მოგვითხრობს ამ ნახულს ისეთ, როგორადაც მოგვითხრობს პოეტი ნახულს და ნაგრძნობს ლირიკული ლექსის ფორმით.

ნარინჯის, ცის და ვარდის ფერებით გადმოგვცემს ის გაზაფხულს. ასეთია სურათები „დილიფალი საბურთალოთ“, „გაზაფხულის შეხვედრა“. ამ სურათებს გარდა, აღვნიშნავ კიდევ მის სურათებს ალეგორიული ხასიათისა, სადაც მხატვარი გარეგნულ ხატებებში გადმოგვცემს განყენებულ აზრს, იდეას. ასეთია დიდი სურათი „რევოლიუცია“ და „ძველი და ახალი საქართველო“. უკანასკნელ სურათზე მხატვარს ცისფერ ტონების, (რომლებიც ძირს გამოხატავს ქალს ობლებით) და ვარდ-ნარინჯის ფერ ტონების რომლებითაც ის გამოხატავს ძველი დროის ლხინს) დაპირდაპირებით გადმოგვცეს ორი საწინააღმდეგო იდეის ანტიტეზა. თოიძის ორი ნოქტიურნი და „საქმრო“ შეძენილია მუზეუმისთვის. თოიძე—მამის სურათების შემდეგ მიდის სურათები თოიძე—შვილისა. ჩემდა გასაკვირველად, მე გავიგე, რომ ახალგაზრდა მხატვარი სულ 15 წლისაა ყოფილა. ამის და მიუხედავად მისი სურათები ამტკიცებენ მისი ტალანტის არა თუ ადრე გამომჟღავნებას, არამედ მის მიერ მიღწეულ ტექნიკასაც. მისი დიდი სურათი „სამშობლოსათვის“ გამშა და მთხლეთით—ალეგორიაა. აღსანიშნავია მისი ნახატები და აგრეთვე ესკიზები, რომლებიც მუზეუმისთვის არის შეძენილი.

შემდეგ მიდის ქართულ ხელოვნებაში ახალ მიმართულებათა წარმომადგენელი გუდიაშვილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ნოვატორი, თანამედროვე თავის ძიებაში, თითქმის ავტოდიდაქტია, ე. ი. უსწავლია დამოუკიდებლივ და ერთხელაც კი არ გასცილებია თავისი სამშობლო საზღვრებს. მისმა მუშაობამ ფრესკების კოპირებაზე მხრივ თორთუმის და ეშპირის ხევის ძველებს ქართულ მონასტრების ნანგრევებში, ეჭვი არაა, თვით მასზე იქონია გავლენა არა იმდენად ფრესკების გარეგნულ წაბაძვაში, რამდენადაც მათ სულის შეთვისების მხრივ, მათი ავტორების მანერით, რომ გამოიხატონ არა რეალური ბუნება, არა რეალური ფიგურები, მათი მანერით შინაგანი იდეების, შინაგანი სულიერი განწყობილებების გამოსახვისა. ამ გვარ სურათების რიგს, რომლებშიც არის, მე ვიტყოდი, არა გავლენა, არამედ რაღაცა ფრესკებისა, ეკუთვნის სურათები: „პირიმზისა“, „ცისანა“, „დღეობა“ (შეძენილია მუზეუმისთვის) და სხვ. რომლებიც შესრულებულია ტონების მომწვანო გამმაში, ამ გვარ ნივთთა რიგს ეკუთვნის აგრეთვე ალეგორია—„თფილისის პოემა“. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ სურათებში მხატვარს იდეურ-ლირიკულ მიზნებს გარდა დასახული აქვს აგრეთვე სადებავი ხაზების მიზანი. ის უკვემდებარებს პეიზაჟების და ფიგურების გამოხატვას წმინდა ხაზების პრინციპს, ამ შემთხვევაში ტალღათა მსგავს ხაზების პრინციპს. ამ მხრივ ისე გამოდის რამოდენიმედ პრიმიტივისტების მხატვრობის პრინციპებიდან და აგრეთვე პრინციპებიდან თანამედროვე მხატვრებისა, რომლებთაც განავითარეს ეს პრინციპები. ძველი მხატვრების მიერ დაფუძნებულნი *), მაგრამ ზემო აღნიშნულ მანერის ნაწარმოებთა გარდა გუდიაშვილს აქვს მთელი რიგი სახეებისა, სადაც ის გამოდის რამოდენიმედ სახალხო პრიმიტივისაგან და საერთოდ კი არის მიმდევარი ფიროსმანაშვილისა. ყველაზე კარგად შესრულებულთა რიცხვს ეკუთვნის შედარებით უფრო ადრე დაწერილი „ქეიფი ველის ბაღში“, რომელიც მე პირადათ ძალიან მომწონს. ნივთი, რომელიც სხვა ტონებით არის დაწერილი, მაგრამ რომელიც ახლო სდგას თავისი შინაგანი მოპოებით პირველთან, არის „ქეიფი სარდაფში“, სადაც ორივე ჩემ მიერ აღნიშნული გუდიაშვილის წერის მანერა ერთმანეთთან გადახლართულია. ეს ნივთი, „მერანის“, „პირიმზისას“ და „დღეობასთან“ ერთად, მთავრობის მიერ შეძენილია მუზეუმისთვის.

ვათავებ რა მხატვრობის განხილვას, აღვნიშნავ აბელდიანის ნივთებს, განსაკუთრებით „თფილისში“ *), „ბაღში“, აგრეთვე თავაძის **) ნივთებს და სალომე ნიკოლაძის—nature mort-ებს.

გადავდივარ ქანდაკებაზე, რომელიც წარმოდგენილია უმთავრესად ცნობილი ქართველი მოქანდაკის ნიკოლაძის ნაწარმოებებში, რომელიც არის მოწაფე თანამედროვე გენიალურ ფრანგ მოქანდაკის როდენისა. ნიკოლაძე თავის ნაწარმოებებში აგრძელებს თავისი მასწავლებლის ტრადიციებს. მის ნაწარმოებებში ჩვენ ვხედავთ უპირველესად ყოველისა თანამედროვე მოღვაწეთა ბიუსტების მთელ რიგს აგრეთვე წრეულით სათავეში (შეძენილია მთავრობის მიერ) და ისტორიულ პიროვნებებისაც. აღვნიშნავთ შოთა რუსთაველის ლამაზ ბიუსტს. ქალთა პორტრეტების—ბიუსტების შორის აღვნიშნავ განსაკუთრებით ბიუსტს, რომელიც მოთავსებულია ფიროსმანას ზალაში № 7, რომელსაც ეტყობა დიდი მსგავსება უნდა ჰქონდეს ორიგინალთან. განსაკუთრებული სიცხოველით შესრულებულია თვალები, რომლებიც უცქერენ მნახველს, რომელთა გამოხატვაში მოქანდაკე მიდის თითქმის ილუზიამდე ცოცხალი ადამიანის შეხედულობისა. მაგრამ მოქანდაკის მიზანს უნდა შეადგენდეს არა მარტო გამოხატვა ცოცხალი ადამიანისა, განსაკუთრებულ მარის ქანდაკების ტენდენცია კიდევ შეადგენს ცდანი იმისა, რომ ხელოვნების სათუთი შეცვლა სინამდვილისა და რეალობისა თვითმპყრობელის მიერ—ეს არის ამოცანა წმინდა მხატვრული და ამგვარ ნიმუშად ნიკოლაძის ქანდაკებებში ჩაითვლება „[illegible] ასული“, რომელიც ამ მხრივ მეტად დამახასიათებელი ნაწარმოებია. აღვნიშნავ კიდევ ორს ტიპიურ ფრანგულ ნივთს „ქარს“ და „მარიანელ ქალს“ და აგრეთვე ფრანგელის „მწუხარება და ნუგეში“. „სალომე“ შეძენილია მუზეუმისთვის.

ნიკოლაძის ნივთთა გარდა, აღსანიშნავია ბილანიშვილის ქანდაკება, მისი, „ფიქრი“ და ბიუსტი.

ვათავებ რა გამოფენის განხილვას, უნდა მივესალმო იმ დახმარებას ხელოვნებისადმი, რომელიც აღმოუჩინა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც დიდი თანხა გადადო არა მარტო ქართველ მხატვართა ნაწარმოებთა საყიდლად, არამედ სხვა ეროვნების მხატვართა ნაწარმოებების შესაძენადაც. ხელოვნებისთვის დახმარება და მხარის დაჭერა ამ უდროობაში განსაკუთრებით საჭიროა და ყოველ ნაბიჯს ამ მხრივ გადადგმულს, განსაკუთრებით უნდა მივესალმოთ. ამასთან ერთად მიუზეუმის სურვილს, რომ თანამედროვე მხატვრობის მუზეუმი რაც შეიძლება მალე გახსნილიყოს, რომ შეიძლება მიეცეს განსაკუთრებით დემოკრატიულ მასსებს, სულიერად დაუფასებელ გამოსახულ ხელოვნების ნაწარმოებით.

თ. გარგმანი.

*) ის საყვედური, რომლითაც მიმართავენ გუდიაშვილის ტალანტის დამფასებლები მას, თითქოს მასში იყვეს გადაჭარბება ხაზების მიზნებისა სადებავებისაზე, მე არ მიმაჩნია სავსებით სამართლიანად. არის პერიოდები მხატვრის განვითარებაში, როცა ერთი მხარე სჭარბობს მეორეს. ეს არის კანონი მხატვრული ბუნების განვითარებისა, რომელიც ხშირად თვით მხატვრისაგან არ არის დამოკიდებული.

*) შეძენილია მუზეუმისთვის.

**) ეტიუდი შეძენილია მუზეუმისთვის.

ᲓᲐᲜᲐᲛ ᲘᲥ ᲒᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲬᲘᲛᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲜ ᲐᲫᲚᲝᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲯᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛ